ხელშეკრულება სამუშაოების
გამარტივებული შესყიდვების შესახებ №0224

ქ. თელავი 22 თებერვალი 2011 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელმომწერნი, ერთის მხრივ თელავის მუნიციპალიტეტი, გამგებლის ვასილ დავითაშვილის (შემდგომში „შემსყიდველი“) სახით და მეორეს მხრივ შპს „თელავის საგზაო სამმართველო“, დირექტორის თენგიზ გვერდელაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია: **ქ თელავში ქუჩების თოვლისგან გაწმენდა და ტექნიკური მარილის მობნევის სამუშაოების შესრულება.**
ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება გამარტივებული შესყიდვის მეთოდით. დაფინანსების წყარო – ადგილობრივი ბიუჯეტი.

2 .ხელშეკრულების ობიექტი

„მიმწოდებელი“ ვალდებულია შეასრულოს „შემსყიდველის“ მიერ ამ ხელშეკრულებით დაკვეთილი **ქ თელავში ქუჩების თოვლისგან გაწმენდა და ტექნიკური მარილის მობნევა.**

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება **2011 წლის 22 თებერვლიდან 2011 წლის 31 მარტამდე.**
3.2. სამუშაოს მიწოდების თარიღად ითვლება ორივე მხრისგან ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტი და ინსპეტირების ჯგუფის დასკვნა.
3.3. სამუშაოს მიწოდების ადგილი: **ქ. თელავი.**

4. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი სამუშაოს ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს „შემსყიდველის“ მიერ დამტკიცებულ საპროექტო-ტექნიკურ დოკუმენტაციაში განსაზღვრულ პარამეტრებს. პარამეტრების ცვლილების შემთხვევაში მოხდეს შეთანხმების გაფორმება და ობიექტის ჩაბარება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მიხედვით, ხელშეკრულებით განსაზღვრულ თანხის ფარგლებში.
4.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია „შემსყიდველს“ მისცეს გარანტია, რომ მიწოდებული სამუშაო არის შესრულებული თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით და აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს ამ სფეროში. ასევე მიწოდებულ სამუშაოს არ გააჩნია კონსტრუქციის (მასალის, აწყობის) ან სხვა წუნი, რომელიც აუარესებს გამოყენების მაჩვენებელს.
4.3. „შემსყიდველი“ ვალდებულია წერილობითი ფორმით დაუყონებლივ აცნობოს „მიმწოდებელს“ წუნის აღმოჩენის შესახებ.
4.4. შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.
4.5. თუ „მიმწოდებელი“ წუნის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს „მიმწოდებლის“ ხარჯზე განახორციელოს აღდგენასთან დაკავშირებული აუცილებელი ოპერაციები ან რისკის მიუხედავად განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები.

5 .შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. „შემსყიდველმა“ უნდა შეამოწმოს შესყიდვების ობიექტი დამტკიცებულ საპროექტო–ტექნიკურ დოკუმენტაციასთან მიმართებაში.
5.2. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს და საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნებს, „შემსყიდველი“ „მიმწოდებელთან“ ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.
5.3. შესრულებული სამუშაოების კონტროლი ევალება ინსპექტირების ჯგუფს. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ინსპექტირების შედეგად დაზიანებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“.
5.4. შესყიდვის ობიექტის (ეტაპების) მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6 .ხელშეკრულების საერთო ღირებულება

ხელშეკრულების საერთო ღირებულება: **4500 (ოთხი ათას ხუთასი)** ლარი.
(ფასდათმობების, გადასახადების, ტრანსპორტირების, დღგ-ს და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით).

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. მიწოდებული სამუშაოს ეტაპობრივი ანაზღაურება ხდება „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი ფორმა 2-ის და მიღება-ჩაბარების აქტის და ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.
7.2. მიწოდებული სამუშაოს 100%-ით ანაზღაურება ხდება გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის შემდეგ.
7.3. „მიმწოდებლის“ მოთხოვნა ანაზღაურების შესახებ „შემსყიდველისადმი“ შესრულებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით, სამუშაოს შესრულების შესახებ დოკუმენტების დართვით.
7.4. „შემსყიდველი“ ვალდებულია ანაზღაურება განახორციელოს უმოკლეს ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 30 (ოცდაათი) დღისა ანგარიშ-ფაქტურის ან მიმწოდებლის მოთხოვნის მიღების დღიდან.
7.5. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში.
7.6. სამუშაოს ანაზღაურება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1. “შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით.
8.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
- საქმის კურსში ჩააყენოს „მიმწოდებელი“ ყველა გარემოების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას;
- სამუშაოს შესრულების დამოწმებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადით გასვლის შემდეგ მისი დაუფინანსებლობის შემთხვევაში აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ ის შესაძლო საჯარიმო სანქციები, რაც დაერიცხება მას არსებული საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად.

8.3. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება, თუ „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდა, ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებით.

8.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
- დააკმაყოფილოს „შემსყიდველის“ მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- საავანსო წესით მიღებული თანხები გამოიყენოს მხოლოდ მიზნობრივად;

8.5. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

- მოსთხოვოს „შემსყიდველს“ მიწოდებული სამუშაოს მომსახურების შუალედური და საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული კვირისათვის „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0.1 პროცენტის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 პროცენტს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3 ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში „შემსყიდველი“-ს მიერ თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში „მომწოდებელს“ აქვს უფლება მოითხოვოს საურავი 0.1% ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.ფორს-მაჟორული სიტუაციები

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10.2 ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.3 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება 3 თვეზე მეტ ხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.

10.4 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10.5

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და საბოლოო ანგარიშსწორების შედეგი დგინდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე **2011 წლის 31 მარტამდე.**

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 თუ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს წესით.

13. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

13.2. ხელშეკრულებით დაფიქსირებული ფასის ყოველი შეცვლა მხარეების მიერ ფორმდება დოკუმენტალურად.

13.3. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, ხელშეკრულების მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

13.4. ამ ხელშეკრულებით გაუთვალიწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

13.5. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.6. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიაანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.7. ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ცნებების განმარტებისას, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.8. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

13.9 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს, თელავის მუნიციპალიტეტის ინსპექტირების ჯგუფი.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ს.კ. 231280093
თელავი, ერეკლე II №16

„მიმწოდებელი“

შპს "თელავის საგზაო სამმართველო"
ს/კ 231167607
ა/ა GE83TB090000360501956
ბანკის კოდი 220101824
სს „თიბისი ბანკი"-ს თელავის/ფ
მის: ქ. თელავი, ფალიაშვილის №16

ხელის მოწერა და ბეჭედი

ვ. დავითაშვილი
(შემსყიდველის სახელი, გვარი)

ხელის მოწერა და ბეჭედი

თ. გეგრდელაშვილი
(მიმწოდებლის სახელი, გვარი)